ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №075

ქ. თბილისი

25 ნოემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "ინტერკონტაქტი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ კუპრავას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მთარგმნელობითი მომსახურებება, კერძოდ სამეწარმეო ამონაწერების (დოკუმენტი 4 ფურცლად) ოფიციალური თარგმნა ქართული ენიდან - ინგლისურ ენაზე (CPV კოდი: 79540000) შემდგომში – მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **68.00** (სამოცდარვა) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2.2. ერთეულის ღირებულებაა **17.00** (ჩვიდმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" ანალიზისა და პროგნოზირების სამსახურის - ბრენდ მენეჯერი - სულხან ლაცაბიძე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქუჩა.
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება 2011 წლის 30 ნოემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" ანალიზისა და პროგნოზირების სამსახურის - ბრენდ მენეჯერი - სულხან ლაცაბიძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.3. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 25 ნოემბრიდან და მოქმედებს 2011 წლის 10 დეკემბრამდე.

10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს"

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან სანაძე

"მიმწოდებელი"
შპს "ინტერკონტაქტი"
მის: ქ. თბილისი, გ. ბრწყინვალის ქ.№35
ს/კ 205049482
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"
ა/ა 3602023593

დირექტორი
როინ კუპრავა